დასკვნა:**დ03. 3726259001**

თარიღი:**16/09/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2026 წლის მეორე კვარტალის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ

მიმდინარე წლის 16 სექტემბერს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N12 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 48 070,0 ათ. ლარი. 2025 წლის 29 დეკემბრის N2260, 2026 წლის 3 თებერვლის N258, 19 მარტის N580, 24 აპრილის N826 და 12 ივნისის N1266 საქართველოს მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო ჯამში 28 038,9 ათ. ლარი. შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაზუსტების შემდეგ მისი მოცულობა განისაზღვრა 76 108,9 ათასი ლარით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა გასული წლის გარდამავალი ნაშთის გარეშე შეადგინა 40 534,4 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 53,3%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 45 648,9 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 60,0%-ია.

საანგარიშო პერიოდში, პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ დაფინანსებამ 23 919,9 ათ. ლარი შეადგინა(წლიური გეგმის 78,9%); დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება წლიური გეგმის მიმართ 49,0%-ითაა განსაზღვრული, საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსება კი 45,7%-ით; სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსება წლის გეგმიური დონის 50,3%-ია, ხოლო სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 6 თვეში დაფინანსებულია წლიური გეგმის 59,6%-ით.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 24,0 ათ. ლარი.

კომისიამ იმსჯელა 2026 წლის მეორე კვარტალის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შესრულების პროცესი სტაბილურია, რაც პროპორციულად აისახება საბიუჯეტო ხარჯების დინამიკაში. აღნიშნული კი საფუძველს ქმნის წლიური გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის მეორე კვარტალის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი